


2-94
1934.

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

№10



მამობრუნე

მამობრუნე

1934

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბერი

სოციალ-დემოკრატიული საბავშვო შუამდგომლობა

№ 10

საქართველოს ბ. კ. მ. ცენტრალური
ბიუროსა და განათლების სახ. კომი-
სარიატის შუამდგომლობა მთავრობას
განვითავებს.

ოქტომბერი 1934 წელი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ფრთხილი ფისო — გ. კაჭახიძე 1
2. დედა ფურტკარი დედაპატიმრეთ (მო-ბა) გ. კალანდაძისა 2
3. ბავშვა კვირეული (ლეჟი) მ. ებრალიძისა 4
4. ალექოს მოწაფეები (მოთხრ.) ქს. სინარულიძისა 5
5. პატარა გმირს (ლეჟი) ც. ჯავახიშვილისა 8
6. გოგილას თითები (მოთხრ.) ლავრ. ჭიჭინაძისა 9
7. ჩენი ძროხა (ლეჟი) შ. სამადაშვილისა 14
8. თვითმფრინავების გაფრენა (ლეჟი) რ. ელენტიისა 15
9. იელის თხოვნა (ლეჟი) დ. დეკანოზისა 15
10. ბროლია (მოთხრ.) ნ. ტყეშელაშვილისა 16
11. ყანისკენ (ლეჟი) შ. გაფრინდაშვილისა 20
12. პატარა გარრი (მოთხრ.) იოს. ლაცაბიძისა 21
13. გურამის თხოვნა (ლეჟი) ი. ქარელიშვილისა 25
14. რა კარგია შემოდგომა (ლეჟი) ავთ. ნიორაძისა 26
15. გამოჩენილი შებაღე (საუბარი) ლ. გეგეჭკორისა 26
16. შებაღე და ჩაღვარები (არაკი) გ. ლომთათიძის 28
17. რომელ საბავშვო წიგნებზე ვისაუბროთ? — ანდანი 30
18. ჭრიჭინა და ლოკოკინა { გადმოკეთებული შ. თაბუ- 31
19. ოცდახუთი ფოტოგრაფია { კაშვილის მიერ 32
20. ფრანლის დასურათება ეკუთვნის შატავარ ირინა გეგნერს.

პ/მ. რედაქტორი: პ. კახიანიძე.
პ/მ. მდივანი: ს. შლენტი.

საქ. სახალგაშის პოლიგრაფსკოლა, წიკეთლის ძ. 4/5.



გამოიღარა. ჩიტების
ხმაური ატყდა უბანში.
პირდაბანილმა ფისომაც
შეათამაშა უღვაში.
ფართო ეზოში გავიდა,
წინ შეეჩეხა ტალახი,
დაყნოსა მიწა, გარემო
ბევრჯერ განცდილი, ნანახი.
და დაიჭირა სიფრთხილე,
რომ არ დასვროდა ფეხები,
რომ არ მიეღო სისოვლე
დიდ ბალახებთან შეხებით.
მოინახულა, ქალივით,
ქუჩა, ლობე და ბოსტანი,
შემდეგ კი მშრალზე წამოწვა
თაგვების ჭერის ოსტატი.
ვაშა, ძილმა წაიღო,
ჭრელი თვალები დახურა.
ჩუმი ნიავეც დაურჩა
დამამ შეიდებელ მსახურად:
ბეწვებს ურხევდა, უმღერდა
და გაურბოდა თათებში;

ფისოს კი ესიზმრებოდა
მსუქან თაგვებზე თარეში!
შეშრა გარემო: ბავშვები
აქრიამულდნენ უბანში.
სიზმრად წასულმა ფისომაც
შეათამაშა უღვაში.
გამოიღვიძა, გაალო
ჭრელი, ცისფერი თვალები,
ქვაზე დაცუცქდა და ბოლოს
მიწას დახედა მთქნარებით.
აქ ბალახებში სუნთქავდა
სიმშვენიერე ბუნების.
ფისომ უცქირა სიმწვანეს
და დაარხია ყურები.
იხიბლებოდა, უთუოდ!
დიდი ბუნების ეშხით...
უცებ გამოჩნდა მურია,
შეკრთა კატა და შეშინდა.
იჩხავლა, მკვირცხლად გაიქცა,
არ გახვეულა ბურანში,
შეხტა ხეზე და სიბრაზით
აუკანკალოდა უღვაში.

გიორგი კაჭხიძე



ბაბუა მანუქარი განთქმული მეფუტკრეა; მას ყველა იცნობს ახლომახლო სოფლებში.

მაღალი, და საკმაოდ მოხრილი, ხმელ-ხმელი კაცია ბაბუა მანუქარი, თვალებს არწივივით აბრიალებს, წვერი, მგონი, თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ გაუპარსავს.

ძლიერ ეჯავრება, თუ რომელიმე ბავშვი საფუტკრეში დაინახა გაპარული, იელის ბუჩქნარიდან ტურასავით წამოეპარება და დაუცაცხანებს:

— თაა-თა-თა-თამ! რატომ ერთი ახლოს არ მიხვედი სკასთან, შენს ღრიალს გავიგონებდი! შენა გგონია რომა ჩემი ფუტკრები თაფლივით ტკბილია და არ იკბინებიან? წადი, დაიკარგე! თუ კიდევ მოგასწარი იცოდე ყურებს დაგაქრი.

მიუხედავად ამისა, ბავშვებს მაინც უყვართ ბაბუა მანუქარი, რადგან მას ბევრჯერ უჭმევია მათთვის თაფლი. ამიტომ აღარ აქცევენ ისინი ყურადღებას მანუქარის ცაცხანს და მისი ყოველი სიტყვა თაფლივით ტკბილად ეჩვენებათ. ბავშვები ფიქრობენ, რომ ბაბუა მანუქარი თაფლია თვითონ.

ავისტოს ერთ დილას ბაბუა მანუქარმა თმახუტუქა თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— თამაზ, არ გინდა საფუტკრეში წაგიყვანო?

მე სინარულმა ამიტაცა.

— როგორ არა, ბაბუ, წამიყვანე... ძლიერ მინდა!

შევვხვეწე და განცვიფრებული მივაშტერდი, „ნეტავი ვიცოდე, რატომ მიყვავარ საფუტკრეში ბაბუა მანუქარს! აქამდის ვერც გაუმხელდი წაყვანას, ახლა კი თვითონ მიყვავარ, თავისი ნებით“— ვფიქრობდი მე და ამ ფიქრებში მიყვებოდი ორღობეში მიმავალ ბაბუაჩემს.

საფუტკრეში რომ შევედით, ბაბუამ შედგა, ხელში რაღაც

პატარა კოლოფი მომაჩნია, შემდეგ კალათიდან ორი პირბადე ამოიღო. ერთი თვითონ ჩამოიცვა თავზე და ერთი მე ჩამომაცვა, რომ ფუტკრებს არ დავეკბინე.

— თამაზ, ახლა ჩვენ თაფლით სავსე ფიჭები უნდა გამოვუცალოთ სკებს, — მეუბნება ბაბუა და თან ხელში დანასა და ჩოთქს იმარჯვებს.

ფიჭების გამოცლამდის საჭიროა დედაფუტკარი დავაპატიმროთ.

მე განცვიფრებისაგან პირი დავაღე.

— როგორ, ბაბუ, რას ამბობ, ფუტკრის დაპატიმრება ვინ გაიგონა! ტფილისში, ქუჩაში მდგარი მილიციელები მხოლოდ წესრიგის დამღრღვევ ხალხს აპატიმრებენ. ეს გასაგებიც არის. ფუტკრის დაპატიმრება კი ვინ გაიგონა, ან რა საჭიროა?!

მან ქალარა უღვაშებში ჩაიცინა, წვერებზე ხელი ჩამოისვა და მიამბო:

— ფიჭების გამოცვლა ძლიერ ფთხილად უნდა ხდებოდეს, რომ ფუტკრები არ დაიხოცოს. განსაკუთრებით საშიშია დედაფუტკრის სიკვდილი. სკაში ერთი დედაფუტკარია, და თუ ის შემოგვაკვდა, ფუტკრების მთელი ოჯახი დაიღუპება, რადგან უდედოდ ფუტკრების გამრავლება შეუძლებელია. ამიტომ მუშაობის დამთავრებამდის დედაფუტკარი უნდა დავაპატიმროთ. აი მაგ. კოლოფს, ხელში რომ გიკავია, სადღეე გალია ჰქვია, დედაფუტკარი მაგაში უნდა დავამწყვდიოთ.

— მერე, ბაბუ, როგორ იცნობ დედაფუტკარს, შევეკითხე მე.

— დედაფუტკარს გრძელი მუცელი აქვს, ფრთები კი მოკლე. ამით განსხვავდება ის დანარჩენი ფუტკრებისაგან. აი, შეხედე სწორედ ის არის, აგერ, ფიჭის განაპირა უჯრედში რომ შეფრინდა. მომეცი გალია! — გალია გამომართვა და ცოტა ხნის შემდეგ უკანვე მომაწოდა. შიგ ჩვენთვის ცნობილი ტუსალი დაბზუოდა და გამოსავალს ეძებდა.

მთელი სამი საათი გაფაციცებით მუშაობდა ბაბუა მანუჩარი. ფიჭები რამდენიმე სკას გამოუტვალა. ფიჭების ჩალაგების შემდეგ დედა ფუტკარს ანთავისუფლებდა და ახლა აპატიმრებდა მეორე ფიჭამოსაცვლელი სკის დედას.

შინ რომ დავბრუნდით შუადღე იქნებოდა. სოფელს ცხუნვარე მზე დაჰყურებდა. ორღობეში კრიკინებს გაებათ მაყრული.

მე ისევ გაკვირებული ვიყავი და ვფიქრობდი:

— დღეს კარგი ახალი ამბავი გავიგე. ქალაქში რომ ჩავალ, ამხანაგებს უამბობ, რომ მე და ბაბუა მანუჩარმა დედაფუტკარი დავაპატიმრეთ.

გიორგი კალანდაძე



ახმაურდი, ბარაბანო,
 ერთი, ორი, ერთი, ორი!
 საყვირს უკრავს ჩვენი ვანო,
 მარჯვე ბიჭი ტოლებს შორის.
 მოდის ტალღა კოლონებად,
 და დროშებიც ძალზე ბევრი,
 ტრიბუნასთან ჩაიარეს,
 აიშვირეს მალღა ხელი.
 „მზად ვართ, მზად ვართ!“
 იძახიან, და გრიალებს მთელი ქუჩა,
 ისტორია ბავშვთა ზეიმს
 მეთორმეტედ გადაფურცლავს...
 და დღეს ყველას როგორც გუშინ,
 ახსოვს მეთოთხმეტე ფიცი,
 „მზად ვართ მარად ყოველ წუთში
 სწავლაც ვიცით, ბრძოლაც ვიცით!
 ჯერ ვიზრდებით, ცოდნის ციხეს
 ვეუფლებით მამაკობით,
 ცოდნა ჩვენთვის საჭიროა
 ვით მხედრისთვის ტყვია, თოფი!
 კიდევ მზად ვართ, რომ ჩაგრულ ძმებს
 გავუწოდოთ ძმური ხელი,
 სადაც ბავშვთა კვირეული
 მათთვის არის ბრძოლის ველი!“

მ. ებრალიძე

ა ა ა ა ა ა ა


 მონაწილეები

დედამ პატარა ალექო ქუჩაში სასეირნოდ წაიყვანა. ჩაიარეს მახლობელ სკოლის ეზოსთან, სადაც ფიზკულტურის მასწავლებელი პატარა ოქტომბრელებს ავარჯიშებდა.

ალექოს უყვარს პატარა მოწაფეების თვალიერება; განსაკუთრებით მოსწონს საწიგნე ჩანთა, პატარა ბიჭებს რომ აქვთ ზურგზე მოდებული. ამიტომაც, როდესაც ალექო ოთხი წლის გახდა, დეიდა მარომ საჩუქრად საწიგნე ჩანთა მოუტანა. უნდა გენახათ ალექოს აღტაცება! არცერთი სათამაშო მას ისე არ უყვარდა და არ იზიდავდა; ფაქიზად ინახავდა მას, უნდოდა მოწაფე ყოფილიყო და სკოლაში ეარა, მაგრამ ჯერ პატარა იყო.

ახლაც დაინახა თუ არა პატარა ოქტომბრელები, სიხარულისაგან აუტოკდა გული და სთხოვა დედას:

— დედი, დედიკო! შევიდეთ ამ ეზოში!

დედამ აუსრულა თხოვნა, შეიყვანა სკოლის ეზოში და აუხსნა:

— ესენი, ჩემო ბიჭუნი, პატარა მოწაფე ოქტომბრელები არიან.

ალექო თვალმდაქცეტილი, პირდაღებული იდგა და შეჰყურებდა პატარა ოქტომბრელების თამაშსა და ხტუნაობას; ისინი მასწავლებლის ჩვენებით ხან ერთ ადგილზე აბაკუნებდნენ პაწია ფეხებს, ხან წრეს უვლიდნენ და ხან კიდევ ხელებს ამოძრავებდნენ. ყველაზე ძალიან ალექოს მათი მორთულობა მოსწონდა: მოკლე — ლურჯი შალვრები და კაბები, თეთრი ხალათები და წითელი ყელსახვევები.

— დედიკო, რატომ მე არა ვარ ოქტომბრელი? — ეკითხებოდა დედას ალექო.

— შენც იქნები ოქტომბრელი, ჯერ კი ძალიან პატარა ხარ, — ღიმილით მიუგო დედამ.

— მასწავლებელი? დედიკო, მე ოქტომბრელების მასწავლებელი მინდა ვიყო.

— კარგი, შვილო, როცა კიდევ უფრო დიდი გაიზრდები, მაშინ მასწავლებელიც იქნები.

ნასიამოვნები ალექო დედას შეკითხვებს უკვე აღარ აძლევდა და ეტყობოდა, რაღაცაზე ფიქრობდა.

დაიწვრიალა სკოლის ხარმა. ოქტომბრელები დაიშალენ, ქვილ-ხვილით გააყრუეს სკოლის ეზო.

დედამ ალექო შინ წაიყვანა. ალექომ დეიდა მაროს აღტაცებით უამბო, რაც სკოლის ეზოში ნახა. უცებ შეჩერდა, თვალელები გაუფართოვდა, სახე გაუბრწყინდა და ხტუნვა-ხტუნვით გავარდა.

იქ მისი პაწია მეგობრები, ბუნჩულა ფისოები — თეთრყელა ციცო, ნაცრისფერი კოტიკო და შავკუდა ცუცა — დედის ძუძუს მადიანად შეექცეოდნენ, ტკბილად კრუტუნებდნენ და პატარა თათებს დედას მუცელზე უცაცუნებდნენ; ისინი ხომ ალექოს მეგობრები არიან; სირბილი და ხტუნაობა იციან; ალექო ხშირად ათამაშებს მათ გრძელ ძაფზე მიბმული ქრელი ნაქრით, ან კიდევ ბურთითა და კოჭით.

ალექო აისრულებს ნატვრას: ფისუნები ოქტომბრელები იქნებიან, ალექო მათი მასწავლებელი. დასდგომია თავს დედის ძუძუებთან ჩამწვრივებულ ფისოებს და ეტიტინება:

— ჩემო ლამაზებო, ჩემო მშვენიერო მეგობრებო, იცით რა? თქვენ ოქტომბრელები იქნებით, მე თქვენი მასწავლებელი! დედა მომცემს თქვენთვის წითელ ყელსახვევებს და შეგაბამთ. ხომ დამიჯერებთ? თუ არ დამიჯერებთ, გაგებუტებით, აღარ გათამაშებთ და როცა ჩემი დედიკო რძეს მომცემს, თქვენ აღარ დაგალევიებთ!

დაამთავრა ეს სიტყვები და დედასთან მიიქრა. ყელზე მოეხვია და ტიტინით მოუყვა:

— ციცო, კოტიკო და ცუცა ოქტომბრელები არიან, მე კი მასწავლებელი. დედიკო, მომეცი წითელი ნაქრები, ყელსახვევები უნდა გავუკეთო! ისეთი თამაში უნდა ვასწავლო, როგორც ოქტომბრელებმა იციან. ხომ მომცემ დედიკო? ხომ შეაბამ ყელზე ჩემს ფისოებს?

— მოგცემ, ჩემო ბიჭუნი, მაგრამ ფისუნები როგორ ისწავლიან ისეთ თამაშს, როგორც ოქტომბრელებმა იციან, ფისუნები ხომ ბავშვები არ არიან? მათ როდი ესმით ჩვენი ლაპარაკი.

— როგორ არა, როგორ არა. მე ვუთხარი, რომ ყველაფერი უნდა დამიჯერონ. მე ფისუნები მიყვარს და დამიჯერე-

ბენ. თუ არა და რძეს აღარ დავალევიან, აღარ ვათამაშებ, არ მოვეფერები!

ალეკო ამაყად გავიდა აივანზე და იქიდან სამი მშვენიერი ბუნჩულა ფისო შემოიყვანა. დედამ გამოქრა პატარა წითელი ყელსახვევები და ალექოს პაწია მეგობრებს კოხტად შეაბა ყელზე.

— დეიდა მარო, ბაბო, გამოდით, ნახეთ, რა კარგი მასწავლებელი ვარ, ნახეთ, რა კარგი ვარჯიში ვასწავლო ფისუნებს! — აღტაცებით იძახოდა ალექო.

ის მიუბრუნდა ფისოებს, ერთად შეყარა და ამაყად შესძახა:

— დადექით ერთად!

ფისოები აქეთ-იქით დაცოცავდნენ. გაცხარდა ალექო, მისი ოქტომბრელები აღარ უჯერებდნენ, კიდევ დაიჭირა, დასვა იატაკზე სამივენი ერთად. დაუბაკუნა ფეხი და ახლა უფრო მაღალი ხმით შესძახა:

— დადექით ერთად!

— ფთხხ... ფთხხ... დაფრთხენ ფისოები, აიშვირეს კუდები და აბურძნული აქით-იქით გაიფანტნენ. შერცხვა ალექოს, საყვარელმა მეგობრებმა არ დაუჯერეს, არ მიიღეს მასწავლებლად. გაებუტა, გაწითლდა, თავი დახარა, მივარდა ტახტს და ბალიშებში პირქვე ჩაემხო. დედის ალერსზე დრიალი მორათო:

— საძაგლები! მე მათ არასდროს აღარ ვათამაშებ, რძეს აღარ დავალევიან, ოთახში აღარ შემოუშვებ! დაიკარგონ აქედან!

დედამ დაამშვიდა გულამომჯდარი ბავშვი და აუხსნა, რომ ფისუნები მისი ნამდვილი მეგობრები არასოდეს არ იქნებიან, მისი ნამდვილი მეგობრები არიან: თენგიზა, მერაბი, ლელი, გოგია, და ალექოც მათთან ერთად იათამაშებს, ფისუნები კი მხოლოდ იმისათვის არიან სასარგებლო, რომ თავგებს იჭერენ, იმ თავგებს, რომლებსაც ალექოს ბაბოს გამოგზავნილი ჩურჩხელები შეუჭამეს. ფისუნები ვერც ოქტომბრელები გახდებიან. ალექოს კი შეუძლია გახდეს ოქტომბრელიც და, როცა დიდი გაიზრდება, მასწავლებელიც.





როცა ყინვის ყაჩაღები
თავს გვესხმოდენ ციდან,
ცივი ქარი სასიკვდილოდ
შმიდტის ბანაკს ცდიდა.
ალა! გახსოვს, გენაცვალე,
სად იყავი მაშინ?
როგორ ძლებდი მაინც ბავშვი
ყინვასა და ქარში?!
ალა! მოდი, მეგობრულად
შენი ხელი მომე
და მიაშბე, როგორია
ჩრდილოეთის ღამე,
სადაც ქარი ონავარი
ფრთა გაშლილი დადის,
მითხარ — დათვი გაშინებდა
თუ ბელები დათვის?
როცა ყინვით გაწითლებულ
პაწა ხელებს შლიდი,

ალბად ტკბილად გამწვიდებდა
კარგი ძია შმიდტი.
ალბად ტკბილად ჩაეკარი
დედის ძუძუს რძიანს
რკინის ჩიტი რომ მოჰყავდა
შენს მეორე ძიას.
დაიძინე ჩემო კარგო,
და მეტს ნულარ ტირი,
გაიზრდები და გახდები
საბჭოების გმირი.
შენი ნახვა ყველას გვინდა,
გადმოფრინდი მთებზე,
აქ ჩამოდი და ტფილისის
გათბი მცხუნვარ მზეზე.
იცი ისე გაახარებ
ჩემისთანა ქალებს,
რომ ყველანი დაგიკოცნიო
მაგ მშვენიერ თვალებს.

ციალა ჯავახიშვილი

ტფილისის პირველ საცდელ-საჩვენებელი
სანიმუშო ათწლედის VII ჯგ. მოწაფე.





გოგონას თითები

4.

გოგილას მამამ ერთი ხაშთარი და გახაფხული მძიმე ფიქრებში გაატარა, რომ მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო ბავშვის ექიმობის შესახებ. შშობლები ხშირად საუბრობდნენ გოგილას გამო.

მამა დაეკვებით იტყოდა ხოლმე:

— ბავშვი ტკივილს არ გრძნობს, ჭამას არ უშლის და სმას. ჰქონდეს ექვსი თითი, ვითომ ამით რა დაშავდება?

— სრულებითაც არაფერი, — დაადასტურებდა დედაც.

გოგილამ პირველად ქალაქიდან ჩამოსულ ბიძაშვილთან დაირკვინა და როცა მათთან მივიდოდა, ხელებს უკან იფარებდა. მაგრამ რაკი გურამი და ნოდარი წავიდნენ, მერე ისევ თავისებური თამაში გააჩაღა მეზობელ ბავშვებთან.

კარგი იყო მსუქანი შემოდგომა, მაგრამ ბოლოს გოგილასა და მის ამხანაგებს ესეც მობეზრდა თითქოს ბუნების კანონებიც ამ ბავშვების სურვილისამებრ იყო აგებული.

შემოდგომა მიიწურა.

ქარიანი დღეები დაიწყო და ხეებიდან ყვითელი ფოთლები შრიალით ცვივოდა. მათ გარშემო მდებარე ადგილი ხმელი ფოთლებით დაიფარა.

გაჩნდა ბავშვების გასართობი.

გოგილამ შეკრიბა თავისი ამხანაგები და ნოშოთი დაფარულ მინდერისკენ გაიქცენ.

— აბა, სიმონიკა, რომელი ივაქცაცებთ და ჩემსავით გადახვალთ ყირაზე, — დაუძახა გოგილამ ამხანაგებს, მერე თავისი ექვსთითახელები პატარა ნიჩბებივით დააწყო ნოშოზე და ძირს დაიტანა. მან ფეხები მაღლა ასწია და ყირამალა გადატრიალდა.

ის თითქოს ჩაიმალა მიწაზე სქლად დაყრილ ფოთლებში/
 ეს ფოთლები გაზაფხულსა და ზაფხულში ხეებს სიმწვანედად აწმვე
 ნებდენ. მაშინ ბავშვები მწვანე ფოთლების შეხებას სრულდება
 დენ, უნდოდათ ხელი მოეკიდათ და მოაღერებოდენ, საღამო-
 ობით რომ ნაზად შრიალებდენ...

ახლა მათ სიხარულს საზღვარი არ აქვს.

ისინი ყვითელ ფოთლებს ფეხქვეშ მოაურიდებლად თელა-
 ვენ, რამდენიმე თვის წინათ ლამაზქოჩორა ხეების ძვირფას
 სამკაულად რომ ითვლებოდა.

გოგილას გამოამწვევე სიტყვას ყველამ ერთბაშად უპასუხა:

— ეგ რა დიდი სავაჟაკო საქმეა!

მათ ფეხები ერთბაშად მალლა ჰქნეს და ყირამალა გადატრი-
 ალდენ.

დიდხანს იტრიალეს ყირამალა.

მათი სიცილ-კისკისი შორს ისმოდა.

ისინი თითქოს გოგილას ეჯიბრებოდენ.

— ვერ მაჯობებ, გოგილა, აი, შემომხედე!

— მე ნაკლებად გადავტრიალდები ყირამალა თუ?

ასე იძახოდენ

სხვებიც.

ბავშვებს მო-
 ბეზრდათ ყირამა-
 ლაზე ტრიალი.

ახლა მე სხვა-
 ნაირი სათამაშო
 მოვიგონე, — დაი-
 ძახა ერთმა ბავშვმა.

— აბა გვითხა-
 რი, რა სათამაშოა,
 — გამოელაპარაკა
 გოგილა დაინტე-
 რესებით.

აი, მოვაგ-
 როვოთ ბევრი ნო-

შო ერთად, მერე ერთი ჩვენთაგანი მოგროვილ ნოშოში ჩაე-
 ფლათ...

— კარგი იქნება, კარგი, — გაიმეორეს დანარჩენებმა.

ისინი კარგი მუშა-კაცივით დაფაცურდენ. მათ გამოძებნეს
 ხის პატარ-პატარა ტოტები, მოაწყვეს ცოცხებივით და ნოშოს
 მოგროვება დაიწყეს.



გოგილა სწრაფად უსვამდა ცოცხს და ნოშოს ამორჩეული ადგილისკენ მიიხვეტდა.

ბევრი ნოშო მოაგროვეს.

უცებ რამდენიმე ბავშვმა ერთიმეორეს უყო თვალი და გოგილას ეცნენ. მას მოგროვილ ნოშოში ჩაგდებას უპირებდნენ, მაგრამ გოგილამ მამაკურად დატრიალდა, მისი ექვსთითა ხელი სხვის მკლავზე უფრო მძლავრი აღმოჩნდა. საბოლოოდ ნოშოში ჩაგდება სხვა ბავშვებს ჰხვდა წილად, ჩაფლეს და უმრავი ნოშო დააყარეს ზემოდან.

გოგილა განზე გამოხტა, იცინოდა და ტაშს უკრავდა.

— ჩემი დამორჩილება გინდოდათ, მაგრამ აჰაი, ეგეც შენი! აბა ეჰ, კიდევ ანიშნეთ ჩუმად ერთიმეორეს! — ამაყად და გამარჯვებულის კილოთი მიმართა გოგილამ თავის ტოლამხანაგებს.

5.

ბავშვები მოიქანცნენ.

თამაში შეწყვიტეს, მწვანეზე გამოვიდნენ და წამოწვეს. ისინი რამდენიმე ხანს იყვნენ გაჩუმებულნი და ერთმანეთის დაღლილობას სინჯავდნენ.

— გოგილა!

— რა გინდა?

— რატომ გაქვს ექვსი თითი?

გოგილამ თავი უხერხულად იგრძნო და გაჯავრებაც დაეტყო.

— ახლა რომ მეკითხები, აქამდის არ შეგიხედავს ჩემი თითებისთვის თუ?

— კი შემიხედავს, მაგრამ ახლა გეკითხები...

— ჰოდა შენი საქმე არ არის, — ახლა კი გაჯავრებულის კილოთი მიმართა თავის პატარა ამხანაგს.

— ძმაო მე საწყენად კი არ მიტყვამს.

პატარა გოგილა ამას შემდეგ კაცივით ჩაფიქრდა.

მას პირველად ქალაქელმა ბიძაშვილებმა მიაქციეს ყურადღება. მაშინ შენიშნამ გოგილას დაარცხვენია და სახე სირცხვილის გამომსახველმა წითურმა ფერმა აულანდა.

ახლა მტორე შემთხვევაა, როცა მეზობელმა ბავშვებმაც იმგვარივე შენიშვნა მისცეს, მაგრამ გოგილას აღარ დაურცხვენია, პირიქით, გაუჯავრდა. მის გაჯავრებაში ჩანდა: „მერე რა უყოთ, თუ ექვსი თითი მაქვს, მე ის არაფერს მიშლის და თქვენზე მეტიც შემიძლია“.

გოგილამ მათ შენიშვნაში დაცვივა იგრძნო. ძალზე უკმაყოფილო შიდიოდა შინისკენ და აბუზული მხრები ნაცემივით ჰქონდა.



მის უმანკო პატარა გულში ბავშვების დაცინვამ ახალი და
ჯერ მისთვის უჩვეულო აზრი გამოიწვია.

გოგილა ეზოში რომ შევიდა, მამაც შინ იყო. ბავშვის მოწყენილ სახეზე უკმაყოფილება ჩრდილივით ეკიდა.



მას მამის დანახვისთანა-
ვე ცრემლები მსხვილ კურ-
ცხლებად გადმოსცვივდა.

ტირის ბავშვი...

ტირის და მამა გაოცე-
ბული უცქერის.

„ალბათ, ამხანაგებმა
სცემეს, არა უშავს, იტირებს,
გულს მოიფხანს, გრძნობა
დაუამდგება და გაჩუმდება“ —
გაიფიქრა მამამ, მაგრამ გო-
გილამ ტირილს უფრო მო-
უმატა და ცრემლები ქუ-
თუთოვებზე მძივებივით და-
ეკიდა.

— რა იყო, შვილო რისთვის ტირი?

გოგილას გული ამოუჯდა და ჩუმ ტირილს გაურკვეველი
ბგერებიც ამოაყოლა. მამამ ბავშვი მუხლებზე დაისვა და ალერ-
სით სავსე სიტყვებით დაუწყო ლაპარაკი.

გოგილა დამშვიდდა.

— ამხანაგები დამცინიან, ექვსი თითი გაქვსო, — წაილულ-
ლულა გოგილამ.

— დამშვიდდი, ჩემო ბიჭიკო, მაგისთანა პატარა საქმეზე
როგორ უნდა იტირო შენხელა ბიჭმა?

— თუ კი დამცინიან?!

— მერე რაა, ქალაქში წაგიყვან და მოგარჩენ.

გარეთ სიო ისევ ქროდა და ხის ყვითელი ფოთლები ისევ
შრიალებდა, ცვივოდა დროგამოშვებით და მიწაზე ეცემოდა.

6

გოგილას ჩაეძინა.

მოწმენდილი ღამეა.

აღმოსავლეთი აღმომავალი მთვარის ნათელით შეიმოსა. ზე-
ცა კაშკაშა ვარსკლავებით არის სავსე. ხანდახან თითქოს რო-
მელიდაც ვარსკლავი მოსწყდება ზეცას და სივრცეში გაისრია-
ლებს.

გოგილას მშობლებს სხვა დარდი აქვთ. ისინი სრულიად არ აქცევენ ყურადღებას ღამის იდუმალობას, ან ეზოში რომ რინდული ხეები დგას და სხედან აივანზე.

— ჩვენ გვეშინია, ბავშვი კი იჩაგრება, — დაიწყო გოგილას მამამ.

— იჩაგრება, მართალია, მაგრამ რა ვუნდა უყოთ? — შეეკითხა დედა.

— სხვა გზა არაა, ქალაქში უნდა წავიყვანოთ, იქნებ იქაურმა ექიმებმა მართლა მოარჩინონ.

მათ დიდხანს ილაპარაკეს გოგილას შესახებ.

მამამ უკვე გადასწყვიტა, რომ გოგილას მორჩენა მხოლოდ ექიმებს შეეძლო, დედა კიდევ ცივ უარზე იდგა, თუმცა იცოდა, გოგილას ტოლი ბავშვები დასცინოდნენ.

ის მოწყენით იტყუდა ხოლმე:

— კარგი იყო ასეთი არ გამოსულიყო და ახლა სხვა გზა არ არის, ისევ ეგრე უნდა დარჩეს.

პირველ ხანებში დედის სიტყვებს მამაც ეთანხმებოდა, მაგრამ რაკი ქალაქელი ექიმების ქება გაიგონა, მისი პასუხი სხვანაირი შეიქნა. ახლა, როცა ისინი აივანზე აჩრდილივით მოჩანან, ასე უპასუხა:

— წინააღმდეგობას ნუ მიწევ. ბოლოს და ბოლოს ყურები უნდა გამოვიჩხრიკოთ. ექიმები მიტომ არიან, რომ ავადყოფები მოარჩინონ, ჩვენ მათი გვეშინია და ამ ჩვენს ანტიოფთამკითხავს კი უჯერებთ.

დედამ მამის სიტყვები დატუქსვად მიიღო და უკმაყოფილოდ თქვა:

— მე კი მეშინია და...

მათ დიდხანს ილაპარაკეს.

ღამის სიწყნარე კიდევ უფრო დუნედ ჩამოწვა.

შორს, აღმოსავლეთით, სავსე მთვარე ამოცურდა, გაფანტა ღამის წყვილი და ხეებს მკრთალი ჩრდილი გაუკეთდა.

— რაეჭნას! ძახილით საქმეს ვერ გავაკეთებთ.

შემოდგომა უკვე შევიწინახეთ, ჩვენს კოლექტივს საქმე თავის რიგზე აქვს და ბავშვის ქალაქში წაყვანა შეიძლება.

გადაწყდა...

გოგილას ქალაქში წაყვანა მოელოს.

ახლა კი სძინავს.

ბოლოს ფიქრების ბურანში გახვეულმა მშობლებმაც ჩაიძინეს.

მეორე დღით გოგილას რომ გამოეღვიძა, გუშინდელი უკმაყოფილება აღარ ახსოვდა. მის სარკესავით წმინდასახული სრული სიხარული იყო გამოსახული.

შინ რალაც სამზადისია.

გიგოლა მიხვდა, რომ ასეთი მზადება შორს წასვლის ნიშანი იყო. ისიც მშობლებთან ერთად ტრიალებდა, საქმის ეტებაში დედას შეელოდა. ბოლოს გაკვირებით იკითხა:

— დედა, სად მიდიხართ?

— აი, შეილო, ხელზე რომ ექვსი თითი გაქვს, ეგ უნდა მოგიჩინოთ, მამამ ექიმთან უნდა წაგიყვანოს.

გოგილა შეკრთა.

შემდეგ ისევ გაკვირვებით მიმართა:

— დედა, ჩემი ხელი მორჩენილია, კი არ მტკივა.

— არ გტკივა, მაგრამ ამხანაგები რომ დაგცინიან, მერე ველარ დაგცინებენ.

გოგილამ ახლა კი იგრძნო სიხარული და მიაპიტად წამოიძახა:

— უჰ, რა კარგი იქნება!

(დასასრული იქნება)

ლავრ. კიკინაძე



ჩვენი ძროხა

კოლმეურნე, მამაჩემმა წამოიღვა კარგი ბინა, შეძლებულად გადაიქცა, ძროხაც კარგი შეიძინა, ჯანის მქონე, ფერად თეთრი, მსუქანი და ტანმალალი. მისმა რძემ და მისმა ყველმა გავვიბრწყინვა ყველას თვალი. მაინც ისე ბევრს იწველის, ღირსი არის ჩემგან ქების.

მეც ამისთვის მიყვარს მისი დინჯი სულა და მოკლე რქები. სად არ ამყავდა, სად არ ძოვა მან ბალახი ნოყიერი. ნახა მთები, ნახა ველი და ტყეები მშვენიერი. წინად მშიერ თავის შვილებს მამამ ლხენა გვაგრძნობინა, შეძლებულად გადაიქცა, ძროხაც კარგი შეიძინა.

შ. სამადაშვილი



რა კარგად ჩანდა მინდორი,
ველი და სივრცე გაშლილი,
მზე ბრჭყვიალებდა ბალახზე,
ლოყაწითელა ვაშლივით.
რა კარგად ჩანდა მინდორი,
მზიდან სხივები დაღვრილი,
შაენაბადაზე მოჩანდა:
მწყემსი ძაღლით და ნახირით.
ვფიქრობდი: ამდენი ხალხი
ნეტავი როდის მოვიდა.
ან ნეტავ როდის გვესტუმრენ
გლეხები ახლო სოფლიდან?
ბავშვებს, დედებს და მოხუცებს
სიო გარშემო უვლიდა,

და იზრდებოდა ხალისი,
ამოვარდნილი გულიდან.
ხმები წკრიალა, ნორჩების
ვაშას და ვაშას ძახილით
კვებდა სივრცეს და მიდამოს,
როგორც ელვარე მახვილი.
ჰაერს ნელნელა არღვევდა
თვითმფრინავების გრიალი,
მიწას ჰკოცნიდა, სიოდა
შორით ხეების შრიალი.
და მეც ავტოკდი პატარა
ძირს არ მინდოდა დარჩენა,
რა კარგად ჩანდა რიგ-რიგად
თვითმფრინავების გაფრენა.


სანდრო ფლენტი

იელის თხოვნა

ყვითელ ბუჩქად გადაშლილი,
სურნელებას უხვად ვაბნევ!
ხელს ნუ მახლებთ, გენაცვალეთ,
ნუ დამკრიფავთ, ნუ
დამამტვრევთ!
რას გიშავებთ კოხტა ბუჩქი,
მთის ფერდობზე მიმალული,
მომასვენეთ, მიწას ვამკობ,
მეც მაქვს ჩემი სიხარული!
ვუმზერ სოფლებს, ვუმზერ ყანებს,

თვალგაშლილი ვუმზერ ზეცას,
მინდა ვიყო მუდამ მწვანე,
ყვავილების კაბა მეცვას.
ზრუნვას არ გთხოვთ, მთებს
გომშვენებთ,
სურნელებას უხვად ვაბნევ.
ხელს ნუ მახლებთ, გენაცვალეთ,
ნუ დამკრიფავთ, ნუ
დამამტვრევთ.

დ. დეკანოზიძე



კოლმეურნეობის გამგეობის ეზოში უფროსმა აგრონომმა თავისი ქროლიათი შემოიჯირითა. სწრაფად გადმოხტა და ცხენი დარაჯს გადასცა, შემდეგ გამგეობის შენობის ზემო საართულში მარდად ავიდა.

ბროლიამ ყური მოჰკრა უცხო ხალხის ხმას, გამოეჭანა, მივარდა ქროლიას, უნდოდა უკან წვივში სცემოდა. ქროლიამ ტორი დაკრა, მტვერი თვალეებში მიაყარა. ბროლია წკმუტუნწკმუტუნით უკან გაშობრუნდა.

— მე გეზუმრე, შენ კი თვალეები ღამის დამივსე! — უსაყვედურა ბროლიამ სტუმარს.

— ვიცი შენი ხუმრობა! ყველა გარეშე პირი, სტუმარიც რომ იყოს, ქურდად მიგაჩნია. ბედი შენი, რომ ახლოს არ მოხვედი, თორემ სულსაც გავაცხებინებდი.

— ჰოდა ასეც უნდა მოვიქცე, ამით პატრონს სიამოვნებას ვგვრი. ხომ იცი, ის მაქმევს, მასმევს და ბინასაც მძღვეს, — უბასუხა ბროლიამ.

— ხვი, ხვი, ხვი, — ჩაიკინა ქროლიამ. — ის რომ ნასუფრალს მტვერში გადმოგიყრის, ან ნაცრიან მჭადს გადმოგიყრის, ამას საქმელს ეძახი?! ბინაც არა გაქვს კარგი.

ამ დროს დარაჯმა მოუტანა ქროლიას სუფთა ქურქლით ოქროსავეით სიმიინდი და ანკარა წყალი ვარცლით.

აგრონომი კოტე თავის მასპინძელთან ერთად კიბეზე ჩამოვიდა, მივიდა ქროლიასთან, შუბლიდან ფაფარი გაღუვდო და მიუალერსა.

— ძალიან ბედაური გყავს, კოტე, ძალიან! — შეაქო მასპინძელმა. — ეგ როდესაც მიჭრის, ასე გვონია, ჩიტი მიფრინავსო.

სტუმარ-მასპინძელი ზვარში წავიდნენ.

იდგა ბროლია და გულდაწყვეტილი შეჰყურებდა ქროლიას.

— რას მიყურებ, ბროლია? შენს ცხოვრებას ჩემს ცხოვრებას ადარებ?

— ეჰ, მე როგორ შეგედრებები, შენ ბედაური ხარ, შენით მოსწონს თავი შენს პატრონს, ჩემ შრომას კი ფასი არა აქვს, — დაღონებით ჩაილაპარაკა ბროლიამ.

— ცდები, ჩემო ბროლია. ჩვენ სოფელში ოც მოსახლეში ერთს თუ
ეყოლება ცხენი, ძალი კი ყოველ მოსახლეს ჰყავს, თქვენ ყველასავე
საჭირონი ხართ. ცხენებს ერთი ჩვეულება გაქვს: კარგად ვმუშაობთ და
პატრონისაგანაც კარგ შენახვას მოვითხოვთ. ეს ჩვეულება თქვენც გამო-
ვადგებათ. მაგრამ ჩემო ბროლია, აქ ქუჩაში ჯორიკანობით ხარ გართული;
წადი ქალაქში, ნახე იქ ძაღლები, გაიკვ, რას აკეთებენ, როგორ ცხოვრო-
ბენ, ჩაუკვირი ნახულს და შეეკადე შენი ცხოვრების გაუმჯობესებას.

ამ დროს სტუმარ-მასპინძელი ზეარიდან დაბრუნდენ.

— მაშ ამ ორ დღეში — ქალაქში ჩამოვალ და ჩემო კოტე, საჭირო
წამალს მომცემთ ვენახისათვის.

— კეთილი, კეთილი, — უბასუხა კოტემ, მარდად მოახტა ცხენს და
წუთში გაქრა თავისი ბედაურით.

როგორც კი ბროლიას პატრონი ცხენით წაიდა ქალაქში, ბროლიაც
ჩუმად უკან დაედგნა.

მიღის ბროლია ქუჩაში, იქით-აქეთ აცეცებს თვალებს, ყველა ატყობს,
რომ უტყბა, ძაღლებიც უყეფენ, მაგრამ თვითონ ზმას არეის სცემს,
გართულია ამ უტყბო სანახაობით. წინ შემოეფეთა დიდი ძაღლი კალათით
პირში, ბროლიამ კალათაში ჩაახედა. ძაღლმა კალათა ძირს დადგა და
ბროლიას შეუბღვირა.

— აი, შე ბრიყვო, თავს რად ყოფ შიკ?

— რა ძალიან ბრაზობ, მე შინდოდა გამეგო, რა იყო შიგ. უთუოდ
ბერს იღებ, რომ ასე გული შეგტკივა შენს პატრონზე.



— შე სულელო, გეკითხა, განა მე ვერ გეტყოდი ბინძური ცხვირი
რომ შიკ არ ჩაგვრგო! შეგტკივა გული პატრონზეო, რატომაც არა, შენ
გვერდები შეგებრტყია ხმელი მჟადისაგან, მე კი გამრგვალებული ვარ.

დაიხედა ბროლიამ თვის ფერდებზე, ერთი ამოიხენწა და გაუფგა გზას.
ხედავს: მოდის რამდენიმე ბზრიალა მეტებარი, მათ მონადირე მოჰ-
ყვება. ბროლია მიესალმა მეტებრებს.

— ნეტავი ვიცი, რას აკეთებთ ასეთს, რომ ასე კარგი შენახული ხართ. ტანი სულ გიბზინავთ!

— ხომ ხედავთ, მონადირეს მოყვებით, ნადირი უნდა დაეჭვებინათ გამოვადლოთ ბინიდან, მონადირე თოფს ესერის, მოკლავს. მართალია, ჩვენ ბევრს არ ვმუშაობთ, კვირაში იქნება ერთხელ წაგვიყვანონ, მაგრამ ჩვენი საქმე საბიფათოა: იქნება ნადირმა დაგვლიჯოს, ან იქნება უეცრად თოფი მოგვხვდეს, ამიტომაც ჩვენი შრომა მეტად ფასდება, აგრეთვე იმ ძალღების შრომა, რომელთაც წყლიდან ან ცეცხლიდან ადამიანი ან ცხოველი ამოყავთ.

ბროლიამ მადლობა გადაუხადა ცნობების მიცემისათვის და გზას გაუღდა...

უცებ ბროლია შეჩერდა, გული აუჩქაროდა, შეშინდა, ვაქცევა უნდოდა, მაგრამ იფიქრა, თუ გაიქცევი ქურდი ვეგანები, უარესიაო. შეჩერდა. მის წინ გაჩერდა მილიციის უხარმავარი ნაგაში, კისერზე საყელოთი, ჩაწითლებული თვალები გადმოუბრიალა.

— ჩქარა პასპორტი, შე მაწანწალა! — უბრძანა ბროლიას.

— მე... მე... — წაიღუღლულა ბროლიამ, — სოფლელი ვარ, არ გიცი პასპორტი რა არის, ჩემი პატრონი ეგერ მოდის, და თათით ანიშნა.

— აი შე სულელო, პასპორტი ეს არის, უჩვენა საყელოზე, — ბედი შენი, რომ პატრონი გახლავს, თორემ? შენისთანა მაწანწალას ვირის აბანოში მივებრძანებთ.

ბროლიამ სული ძლივს მოიბრუნა.

— თქვენ, უთუოდ, ბევრი საქმე გაქვთ. რას იღებთ გასამჯელოს? — მოწიწებით შეეკითხა ბროლია.

— ხმ... ხმ... საქმე დიდი არაფერი, ჩვენ დიდ ავაზაკებს დაეძებთ, ჩემი პატრონი პატარეებისათვის თავს არ შეიწუხებს, თვეში იქნება ორჯერ შეგვხვდეს მუშაობა, შეიძლება სულაც არა. ძნელია თქმა, როდის ან რამდენი საქმე შეგვხვდება, კარგად მინახევენ: მაკმევენ, მასმევენ, ბინასაც მაძლევენ, ხანდახან გვერდშიც მითავაზებენ, უამისოდაც არ შეიძლება, ხომ იცი, ჩვენი ჯიში ამისთანაა.

ბროლიამ თავი დაბლა დაუკრა და წავიდა.

უცებ ბროლიამ თვალი მოჰკრა მშვენიერ თეთრ ფინის, ხუჭუქა-ბანლიანს, ყელზე და წელზე კისფერი ბანტი ჰქონდა.

ფინია კოპწია ქალს ძეწვეით მიჰყავდა.

ბროლიას თავში გაუელვია: მე რომ ლეკვი მომპარეს, ის ხომ არააო და გაექანა ფინისაკენ, ფინიას შეეშინდა, ხმაც არ ამოუღია, ისე დაეცა მიწაზე ზურგით. ბროლია საბტად დარჩა, მას ლეკვი ეგონა, ის კი დედაძალი აღმოჩნდა.



— რას კანკალებ? — გაამხნევა ბროლიამ — მე შენისთანა არსებას როგორ ვერჩი! ნეტავი ვიცოდე, აგრე პაწაწამ რა უნდა გააკეთო, რომ ასე შშვენიერად გინახავენ?!

მე ვართბ და ვასიამოვნებ ჩემს პატრონს, როდესაც ის როიალს დაუკრავს, მე ვცდივარ.

— ნეტავი რა არის როიალი?

— ტეტია ხარ, ტეტია! — დაცინვით უთხრა ფინიამ, არ იცი, რა არის როიალი?! — და აუხსნა.

კიდევ უნდოდა რამე ეკითხა, მაგრამ ამ დროს მოიხედა კოპწია ქალმა.

— ჟუჟუტა, ჟუჟუტა, მოშორდი მაგ მურტალს, ტანისამოსი არ გაგისვაროს.

ქალმა ფინია ხელში აიყვანა და გზას გაუდგა.

ბროლიას გული მოუვიდა, უნდოდა სცემოდა კოპწია ქალს. მაგრამ გაახსენდა: პასპორტი არ ჰქონდა და შეჩერდა.

ამ დროს ბროლიას პატრონმა ჩამოიარა.

— ბროლია, შენ რა გინდა აქ? წაპოდი შინ!

ბროლიაც გაპყვა თავის პატრონს.

დამბრუნებისას ბროლიამ თავისი თავგადასავალი უამბო. მეგობრებს. ძალიან გულმოსული იყო ქალაქელებზე, სულ ბუზღუნებდა; რა არ მიწოდეს: ტეტია, მაწანწალა, ბრიყვი, მურტალი. ერთი სიტყვით არა დამაკლეს რა, ამბობდა ბროლია.

— მართალი არიან ქალაქელები, — შენიშნა კაზბეკამ.

— როგორ? — ერთი ხმით შეეკითხა ყველა.

— მოდი და შეადარე შენი თავი რომელიმე ქალაქელს გარეგნობით. ყველამ თვალეები მიაჩერა ბროლიასა და კაზბეკას.

ბროლია იყო მალალი, მოსული, მხარბეტიანი, კაზბეკაზე ბევრათ ღონიერი, მაგრამ ფერდებშეგარდნილი, ქუჭყიანი, კაზბეკა კი ტანით უფრო პატარა, სუფთა და კოხტა.

— ჩემო ბროლია, არ გეწყინოს ჩემი სიტყვა. მე წინათ შენზე უარესი შესახედავი ვიყავი, მაგრამ ქალაქელებმა კუთა მისწავლეს. პირველად რომ ქალაქში წავედი, დამცინეს. უარესიც შემემთხვა: ბავშვებმა კუთხეში მიმომწყვდიეს, კედზე თუნუქი მომაბეს. მე ეს არ ვიცოდი: მიშვეს ხელი თუ არა, გამოვიტეცი. სტვენა, კიჟინი და ერთი ღრიანცელი დამაყარეს. ამას ემატებოდა ჩემი კულის ქნევით გამოწვეული თუნუქის ხრიგინი. როგორ შემრჩა გონება არ ვიცი. ბოლოს თუნუქი კბილით მოვგლიჯე და გამოვიქანდი შინისკენ.

— ჰუმ, ჰუმ, — ატყხეს ძაღლებმა სიცილი და დიდხანს არ შეჩერებულან. როცა დამშვიდდენ, კაზბეკამ განაგრძო:

— მის შემდეგ ჩემი ცხოვრების გაუმჯობესებას დიდ ყურადღებას ვაქცევ. შენთვის ეს უფრო ადვილიც იქნება.

ნაამბობს დიდი ყურადღებით ისმენდა ბროლია. როცა კამბეცამისხმევა ტყვა დაასრულა, ბროლიამ ალტაცებით თათი გაუწოდა და უთხრა:

— გმადლობ, კახბეკ, შენ რჩევას ზუსტად შევასრულებ, ბროლიას თვალები უბრწყინავდა, ხალისით განავრძობდა თავის სამსახურს და თავის მოვლაზედაც უფრო მეტად ფიქრობდა.

ნინო ტყეშელაშვილი



ცას ღრუბლები წამოუსხამს,
ყვითლად ლუის არემარე.
შემოდგომას უხვ ბარაქით
აუესია ჩვენი მხარე.
ფოთლებს ხიდან ჩამოცვენით,
გადაუკრავს ფერი ღია.
ბაღში ბლომად შემოსულა:
ბროწეული, შინდი, ბია.
მინდვრად ყანა კოლექტივის
აღებას გვთხოვს, აბა ჩქარა!
წამო ბიჭო, ჩვენც უფროსებს
მივებმართო, ძილი კმარა!

ხედავ სოსეს? ხარებს აბამს
და უმარჯვებს ურემს ფარდებს.
აგერ გიგო, ილო, თედოც
იჩქარიან ლესენ ნამგლებს.
წამო, წამო! ჩვენც წავიდეთ
დავიკავოთ ხელთ ნამგლები,
ვჭრაოთ სიმინდი, გავარჩიოთ
ქარვის ფერი ტაროები.
აღე, აღე, ოქტომბრელებს
სიზარმაცე გვშვენის, განა?
დავებმართო ჩვენს კოლექტივს,
უფროსებთან ჩვენც ვმკათ ყანა!

შოთა გაფრინდაშვილი





მოთხრობა ბერძანული ბავშვის ცხოვრებიდან

გარბი შვიდი წლისაა. ოთხი წელიწადია მამა არ უნახავს. მის მამას რევოლუციური მუშაობისათვის კატორგა მიუსჯეს.

უმამოდ უჭირდა ცხოვრება გარბის.

სანამღი ძალა შესწევდა, დედამისი მუშაობდა თამბაქოს ქარხანაში, რომელიც გამაჩენილ მდიდარ ბაუერს ეკუთვნოდა. როდესაც დედა დააფადმყოფდა და მუშაობის უნარი დაკარგა, ის დაითხოვეს ქარხნიდან და დახმარებაც ორი თვის შემდეგ შეუწყვიტეს. თვითურ დახმარებას ცოტას ღებულობდა ფრიკის დედა, ისე ცოტას, რომ მარტო პურის ფულად ორ დღეს ძლივს ჰყოფნიდა პატარა გარბის.

დედა ავადმყოფობის გამო ლოგინად ჩავარდა. ბავშვი მას საწოლთან უჯდა. ხან წყალს მიუტანდა, ხან ტილოს დაუსვებებდა და შუბლზე დაადებდა.

დედა დიდი ხანია წევს. ძლიერ ცოტას ქამს. ლოყები შეუთხებლდა, თვალები ჩაუცივდა. სხეზე ფერი გამოეცვალა. სამი კვირია ექიმი არ მოუყვანიათ. ან რით მოიყვანონ, როცა ფული არ აქვთ.

გარბის დედას სიცხე ჰქონდა. ძალიან სწუხდა იგი. ხშირად ლაპარაკობდა უაზროდ.

ბიჭუნა მალიზალ უცვლიდა სველ ტილოს და შუბლზე ადებდა.

როდესაც დედას ჩაეძინებოდა, მივიდოდა საწოლთან, დააჩერდებოდა და თვალეები ცრემლებით ევსებოდა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს ბერტას სიცხე გამოუტენლდა.

— ჩემო ბიჭკო, მომიახლოვდი, გაკოცო, — უთხრა მან საყვარელ შვილს.

გარბიმ მიიღბინა დედასთან, გადაეხვია და რამდენჯერმე აკოცა.

— რა გტკივა, დედი? — ჰკითხა ბოლოს.

— არ ვიცი, შვილო. ეჭიმი რომ მოგვეყანა, ის გვეტყოდ.

— რატომ არ მოგყავს?

— ფული აღარ გვაქვს.

— უფულოთ არ მოვა?

— არა, შვილო, უფულოთ არ მოვა.

დაღონდა გარრი, თვალებიდან კრემლებმა იწყო დენა.

როდესაც დაღამდა და ქუჩებში ადამიანთა ფეხის ხმა მიყურდა, ერთი პატარა ბიჭი ფეხშიშველა, დახეული ხალათ-შარვლით მირბოდა ვიწრო და ბნელ ქუჩაში.

თავის სახლიდან კარგა მანძილი გაიარა. ქუჩიდან გაუხვია და გავიდა ერთ-ერთ მდიდრულ ქუჩაში.

პატარა ბიჭი ქუჩის მეორე მხარეზე რომ უნდა გადასულიყო, პოლიციელმა შეამჩნია და შეაჩერა:

— ე, მაწანწალა, რას აკეთებ ამ დროს ქუჩაში?

— მე მაწანწალა არა ვარ, მე ღარიბი ვარ, აქეთ საქმე მაქვს, — თამამად მიუგო ბიჭმა და გზა კვლავ განაგრძო.

— შენ გეუბნები, არ გესმის? დაგაფიწყდა, ამ ქუჩებში თქვენისთანებს უფლება არა აქვთ იარონ!

— რატომ?! თუკი საქმე მაქვს ამ ქუჩაზე?

— არავითარი საქმე არ ვიცი, არ გაგიშვებ, მორჩა და გათავდა! — გადაწყვეტით წარმოთქვა პოლიციელმა და ბავშვს მრისხანეთ შეტედა.

პატარა ბიჭი დაღონდა. მისი თვალეები დიდხანს უყურებდა პოლიციელის მრისხანე გამოხედვას. უყურებდა და თითქოს თვალეებით ეუბნებოდა: „რა მოხდება, რომ გამიშვა, მე ამით დედაჩემს ვუშველი, შენ კი არაფერი დაგაკლდება, გამიშვი.“

პოლიციელის მრისხანე გამოხედვამ პატარა ბიჭი შეაშინა. ბიჭი გამობრუნდა. რამდენიმე მამიჯი გადადგა და შეჩერდა.

— არა, უსათუოდ უნდა გავიდე ამ ქუჩაზე, უნდა მოვნახო ეჭიმი. საწყალი დედაჩემი როგორ წვალობს, იტანჯება. არა, უსათუოდ უნდა მოვნახო ეჭიმი!

როდესაც მობრუნდა ბიჭი, პოლიციელი მოშორებით ზურგშეკცევით იდგა. მაშინ ფეხაკრფით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, კედელს მიუახლოვდა. პოლიციელმა მისკენ გამოიხედა. ბიჭი კედელზე აიღურსა, გაინაბა და როდესაც პოლიციელი გაუდგა კვლავ თავის გზას, მობუზული მიიკარგა ქუჩის სიღრმეში. თხუთმეტი წუთის შემდეგ იგი ეჭიმის ბინასთან მივიდა. დააკაუნა. კოტა ხნის შემდეგ მოსამსახურე ქალი გამოვიდა კოხტათ ჩაცმული.

— ვინ გინდა, პატარა ბიჭო?

— ეჭიმი ბრაუნო. შეიძლება ვნახო?

მოსამსახურე ქალს გაუკვირდა ბიჭის ასეთი თამამი მოქმედება.

— შეიძლება, მაგრამ შენ გაქვს მასთან საქმე? მოსამსახურე ქალმა პატარა ბიჭი ექიმთან შეიყვანა. ბიჭუნას შერცხვა და მოიბუზა.

— რისთვის მოსულხარ ასე გვიან, პატარავ! ექიმის სიყვარულით საესე სიტყვებმა პატარა ბიჭი გაააჟამმა.

— ექიმო, დედა მყავს ძალიან შეწუხებული, სამი კვირაა ექიმი არ გვეყოლია სახლში. ფული არა გვაქვს. აი ამ ქულს მოგცემთ, — გადახსნა გაზეთში გაბეწული ქული და გაუწოდა ექიმს. — ახალია, იგი ფული ღირს.

ღიღი მზრუნველი თვალთ უყურებდა ექიმი ბავშვს, შემდეგ ჰკითხა:

— რა გქვია?

— გარრი.

— რამდენი წლისა ხარ?

— შგონი შეიდი წლის.

— გარრი, ამ ქულს მომცემ? მერე, შენ რომ აღარ გექნება?

— ოღონდ დედა მომიჩჩეს და ქულს არ ვჩივი. ბიჭუნას ძალაუნებურად ცრემლები გადმოსცივდა თვალებიდან.

ექიმმა ანუჯემა:

— ნუ ტირი, წამოვალ, მომეცი ქული. გარრიმ გულუბრყვილოდ გაუწოდა ქული და ისეთი თვალებით შეხედა ექიმს, თითქოს ეუბნებოდა: სხვა ნივთი რომ მქონოდა, იმასაც მოგცემდითო.

ექიმს ქული დიდხანს ეჭირა ხელში, ბოლოს ისე დაუბრუნა.

— ამ ქულს კარგად მოუ-

არე, მე კი უსასყიდლოდ წამოვალ..

ბავშვი სიხარულით მოიკვია. ხან ექიმს შეხედავდა, რომელიც წასასვლელად ემზადებოდა, ხან იქვე მდგომ მოსამსახურე ქალს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ექიმი მზად იყო, რომ გაპყლოდა პატარას.

ექიმმა ავადმყოფი რომ გასინჯა, ღამის პირველის ნახევარი იყო. გამოუწერა რეცეპტი.

წასვლის დროს გარრი დაარიგა:

— დედას არ მოშორდე. მალიმალ დაუსველე ტილო. ბუზები გარეკე, როგორმე წამალი იშოვე და სუფრის კოვზით დღეში ოთხჯერ დააღვეინე. თუ ყოჩაღად მოუვლი, მორჩება.





ექიმი გავიდა ოთახიდან.

გარრი დიდხანს იყო გაჩერებული კარებთან. ფიქრებზე გაჭედილი გამოერყვა მაშინ, როცა ავადმყოფი დედას ხმა გაიგონა.

— შეილო, ექიმი ვინ მოიყვანა?

— მე, დედა, — მორცხვად უპასუხა და დედას მიუახლოვდა.

— შენ?! — დედას ვაუკირდა. — ფული? სად იშოვე ფული?

— უფულოდ გამოიყვანა... შევეხვეწე, დედა ავად მყავს მეთქი... ჩემი ქული ვაძლიე, არ გამომართვა...

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ძლივს წარმოთქვა მან.

— ჩემო ნუგეშო, — უთხრა დედამ და შეილია სიყვარულით ჩაიკრა გულში.

დედას გულში ჩაკრულს ჩაეძინა.

ძლივით გარრი ძლიერ დაფიქრებული იყო.

— რა ვქნა, სად წაიღებ? — ამბობდა ის, — როგორ ვიშოვო წამლისათვის ფული? ვის მივადგე? ვინ მომიკემს?

დაღონდა პატარა ბიჭი. ბოლოს მოაგონდა, რომ მათ უბანში ერთი კაცია, რომელიც ყიდულობს ჩერებს, ძვლებს, ნაცვეთ რეზინებს.



კოტა იმედი მიეცა. აიღო ხელში ტომარა, დატოვა რეცეპტი და იმ ეზოებისაკენ გაეშურა, სადაც სახაგვე ყუთები ეგულვებოდა. საღამომდის იმუშავა და ზლომად მოაგროვა ძვლები, ჩერები და ნაცვეთი რეზინები. მუტანა მყიდველს, მყიდველმა აწონა და გამოანგარიშების შემდეგ გაუწოდა ფული. გარრამ დახედა ფულს. ანგარიშით ხუთი იმდენი კიდევ უნდა მოეტანა, რომ წამლის ფული შეეგროვებია. მაგრამ ხუთ დღემდის

დედა გაძლებდა? ფული გამოართვა ჩაიდვა ჯიბეში და დაღონებული წამოვიდა შინისაკენ.

— წუბელ ექიმმა მითხრა დედას არ მოშორდეთ, მე კი ერთი დღე გავაცდინე მცირე ხელფასისათვის, — ეუბნებოდა თავის თავს ბიჭუნა.

როდესაც სახლში შევიდა, დედას უამბო ყველაფერი.

მეორე დღეს ორჯერ მეტი მოაგროვა ძვლები, ჩერები და ნაცვეთი რეზინები.

გარრის ეს ახარებდა. მაგრამ როცა სახლთან მივიდა და შეაღო ოთახის კარები ფერი ეცვალა, მეზობლების დედაკაცები ავადმყოფს შემოხვეოდნენ. ნელი ნაბიჯით შევიდა ფრიკი ოთახში. მიუახლოვდა დედას. იბერტა ძალიან შეწუხებულიყო, ძლივს დასუნთქავდა.

დიდხანს უყურა თავის საყვარელ
დედას. საწყალი ქალი შფოთავდა,
ზმას ველარ იღებდა. ორი საათის
შემდეგ ამ ტანჯვაში გარდაიცვალა.

მეზობლები ატირდენ.

ატირდა პატარა გარრიც.

მეორე დღეს ავტომობილით წა-
იღეს მკვდარი.

მეზობელი დედაკაცები წავიდ-
წამოვიდენ.

დარჩა თვალცრემლიანი პატარა
გარრიც.

სახლის პატრონმა გაასახლა იგი.

ამიერიდან მისი ბინა ქუჩა იყო, მისი დედ-მამა ყველა გამეღელ-გა-
მომეღელი, რომელიც ფულს აჩუქებდა.



იოსებ ლაცაბიძე

გურამის თხოვნა

ცისანასთან წამიყვა,
დედავ, გენაცვალეზი,
აღარ გავალ ქუჩაში,
აღარ გავეწვალეზი.
იმათ კოხტა ბალი აქვთ
ყვავილებით მორთული,
იქ იქნება მაყვალაც,
მათკენ მიწევს მეც გული.
თან წავიყვან ჩემ ცხენსაც,
ცისის შევსვამ, ვაჭენებ,
ის კი თავის დედოფლებს
მოიყვანს და მაჩვენებს.
გულით მინდა იმათი
დღეს სტუმარი რომ ვიყო,
თუ წამიყვან იცოდე
არ ვიტირებ დედიკო!

იოსებ კარელიშვილი

რა პარგია შემოდგომა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიყვარს რთველი, რა ვქნა, მიყვარს,
გული ხალისს ველარ იტევს!
ახ, ნეტავი ყურძნის კრეფას
ამ კვირაში თუ დავიწყებთ?!
აგერ ვაზი მძიმე მტევნებს
ველარ უძლებს და ხრის დაბლა,
ორლობეში ურმის ჭრიალს
გავიგონებთ მალე, ალბათ...
კარგი არის შემოდგომა,
მხიარულობს ყველა ამ დროს,
ლალი არის თვით ბუნება,
და ჩვენც ასე მიტომ ვლადობთ.
აი ნახე როგორ დატკბა
კრახუნა და ხარის თვალა.
ვა, თუ მეტი მოვუვიდეს
და დაკარგოს ვაზის ძალა!
ოი, მართლაც ამ წვიმებმა
გააჭირვა ერთობ საქმე...
ჩიტები ჭამს, მაგრამ რა ვქნათ,
ასეთ დარში ხომ ვერ დავკრებთ!
იქნებ მალე გადიდაროს,
შევესიოთ მაშინ ყველა,
დანებიც გვაქვს ალესილი
აკიდოთა ასაჭრელად.
მიყვარს რთველი, რა ვქნა, მიყვარს,
გული ხალისს ველარ იტევს!
ახ, ნეტავი ყურძნის კრეფას
ამ კვირაში თუ დავიწყებთ?

ავთანდილ ნიორაძე

გამოქანილი მეგაღე ი. ვ. მიქუჩინი

პატარა იყო, შვიდი წლისა, დაინახა, რომ ყველა მუშაობდა, ბარაჟდა, თესავდა. თვითონაც მოუნდა დათესვა.

— მამა, თესლი მომეცი, მეც დავთესავ! — მიმართა მამას,

— არ შეიძლება, ჯერ პატარა ხარ. წადი, ითამაშე, ხელს ნუ გვიშლი! — უპასუხა მამამ.

პატარა ვანომ სურვილი მაინც შეასრულა. სკამზე შედგა, აძვრა თაროზე, სამარილე ჩამოიღო, ერთი მუქა მარილი წაეღო და დათესა.

დიღხანს ელოდა, მაგრამ მარილი არ ამოვიდა. ნაწყენი დარჩა, მაგრამ ეს არაფრად ჩააგდო. მეორე წელიწადს მან უკვე მსხლის თესლი ჩააგდო მიწაში. თესლმა წვერი ამოყო მიწიდან. ვანოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შემოთოხნა, სარეველა ბალახები მოაშორა. მსხლის მცენარე მშვენიერი შეიქნა. ვანომ ასე თანდათან შეიყვარა და შეერთვისა სოფლის მეურნეობა.



პატარაობიდანვე იჩენდა იგი განსაკუთრებულ მიდრეკილებას მებაღეობა-მეხილეობისაკენ. უყვარდა მსხალი, ვაშლი, ატამი, ქლიაფი, ქერამი. უყვარდა მიწის ჩიჩქნა. სიხარულით ცას ეწეოდა, როცა ხელში მიწის ნაყოფს აიღებდა.

ძალიან უყვარდა შინაური ცხოველები: კატა, ფინია ძაღლი, პატარა ბუნჩულა ხბო. უყვარდა ფრინველებიც. ბელღურების მეგობარი იყო, თოვლში დამშეულ ბელღურებს საკენკს დაუყრიდა ხოლმე. ისე მიჩვეული ჰყავდა ბელღურები, რომ ისინი მას ზოგჯერ მხრებზე შეაფრინდებოდნენ, ქუდზე დააჯდებოდნენ, ხელებზე დაასკუბდებოდნენ, -- საკენკი მოგვეციო.

ვანო სწავლაში ბეჯითი იყო. სწავლობდა ვორონეჟის გიმნაზიაში, მოსკოვის ახლო. იქ საშინელი სიცოცხეები იცის. ერთხელ დიდ ყინვაში მან ქული არ მოუხადა გიმნაზიის დირექტორს. დირექტორი გაცხარდა და ივანე მიჩურინი შეექცეს კლასიდან გამორიცხა.

ღარიბი დედ-მამის შვილი იყო, მშობლები მალე გარდაეცვალა, დარჩა ობლად, მაგრამ გული არ გაიტეხა. გადასახლდა იქვე ახლო ქალაქ კოზლოვში. აიღო მიწის დიდი ნაკვეთი და ბაღის მოშენებას შეუდგა.

ძნელი იყო მისთვის რუსეთის სუსხიან ცივ ამინდში ხეხილის ბაღის გამართვა. მან ხერხი იხმარა: ჩრდილოეთის ვაშლის

ხეზე დაამყნო სამხრეთის, თბილი ქვეყნის ვაშლის კვირტი, ვაშლმა გაიხარა და კარგი მოსავალი მისცა. ასევე მოექცა მსხალს და ქლიავს. იმდენს ეცადა, რომ ისეთ ცივ მხარეში, როგორც კოზლოვია, მან ატმის მოყვანა მოახერხა. ჭერამიც ხარობდა მის ბაღში.

ამჟამად იგი მოხუცია, 80 წლისა. 60 წელიწადია, რაც იგი მებაღეობა-მეხილეობას — ეწევა. არავისაგან არ უსწავლია ეს საქმე. კითხულობდა წიგნებსა და იმისდა მიხედვით თვითონ რგავდა, თესავდა, სხლავდა, აშენებდა.

არა მარტო რუსეთში, საზღვარგარეთაც გაითქვა მან მებაღის სახელი. ბევრი რამ ისწავლეს საზღვარგარეშმა მეცნიერებმა მიჩურინისაგან. ძია ვანო სამაგალითო მებაღე შეიქნა.

ჩვენმა ხელისუფლებამ დააფასა მისი შრომა. 8 წლის წინათ იგი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი ორდენით, ხოლო ორი წლის წინეთ ლენინის ორდენით.

წელს, სექტემბერში, მას გაუმართეს მუშაობის 60 წლისა და დაბადებიდან 80 წლის იუბილე ქალაქ კოზლოვს. კოზლოვს მიანიჭეს მისი სახელწოდება. კოზლოვს დაარქვეს მიჩურინსკი.

დღესაც მხნედ არის და ახალგაზრდული ვატაცებით მუშაობს 80 წლის მოხუცი, გამოჩენილი მებაღე ი. ვ. მიჩურინი.

ლადო გვგეჰკორი



(არაკი)

ქალაქისკენ მიდიოდენ
ჩავლადრები ჯორებითა,
ქარავანი დაეტვირთათ
გასაყიდი ქონებითა.
დაუბინდდათ ერთ ალაგას,

ჩამოშადეს ტვირთი ჯორებს,
საქონელი ცალგებადა
მიწყობილი ჰგავდა გორებს.
იქვე გვერდით ბალი იღვა
მაღალ ლობე შემოვლილი,

შიგ ყურძენი იყო მწიფე,
სავანგებოდ რამ მოვლილი.
ჩავლადართა ჩამიჩუმში
შემოესმა მებაღესა
და სიფრთხილის გულისათვის
გადასძახა მკვახედ ესა:
«ჩემი ბაღის ღობესთან მანდ
ვინ ხართ და რას ჩიჩინებთო,
ყურძენი არ მოიპაროთ,
თორემ ბოლოს ინანებთო.
— დალოცვილო, ბაღში ყურძენს
ვინმე როგორ მოგპარავსო,
როცა შენს ბაღს ხელუწვდენი

ზღვაში შეწვევს დედამიწას...
ეგ ჯორების კეხ-კურტნები
რომ შეაწყოთ ერთმანეთზე
ვაჟკაცები სულ ადვილად:
გადმოხტებით ჩემს მესერზე.
მგზავრებს გულში გაეხარდათ
გამოდგება ეგ ხერხიო,
ღობის ძირას მივალაგოთ
ეგ კურტნები, ეგ კეხიო...
თქვეს და შემდეგ რა მებაღე
შინისაკენ გაემართა,
ფაცაფუცით კეხ-კურტნები
ერთმანეთზე აღიმართა.



მესრის ღობე იფარავსო!
ფრთები არ გვაქვს, —
ჩამოვფრინდეთ,
არც არა ვართ ჯამბაზები,
კიბეც ახლოს არსად არის...
ტყუილად კი რად ბრაზდები!
— რა ვიცი მე, რა ხალხი ხართ
კაცმა თუ ჰქნა, — რას არ იზამს,
ზღვას ხმელეთზე გადმოიყვანს,

ზედ აცოცდენ ჩავლადრები,
გადავიდენ შიგნით მხარეს
და ამგვარი მოხერხებით
გულში დიდად გაიხარეს.
ძლიერ გაძდენ დამშეულნი,
გემრიელი იყო ხილი,
მებაღეს კიამ დროს ჩრდილქვეშ
ძილი ჰქონდა მეტად ტკბილი.

გ. ლომთათიძე



როგელ საგავშვო წიგნებზე ვისაუბროთ?

კარგა ხანია აღარ გადავიხედავს ჩვენი წიგნის მაღაზიებისაკენ და არ გვინახავს, რა ახალი საბავშვო წიგნები გამოვიდა.

გამოსვლით ბევრი გამოსულა, მაგრამ წავიკითხავს თუ არა, გიმსჯელიათ თქვენს ამხანაგებში ამ წიგნებზე თუ არა, არ ვიცი.

ამიტომ მინდა მოგაგონოთ და გესაუბროთ საინტერესო საბავშვო წიგნებზე.

ნ. ნაკაშიძე: „ოქტომბრელები ბათომში“. წიგნი დასურათებულია იაგორ ტიმოფეევის მიერ.

ჩვენ ამ წიგნიდან ვიგებთ, რომ ოქტომბრელებს მეტად საინტერესო ექსკურსია მოუწყვიათ ბათომში. მათ უნახავს თვალუწვდენი და მზით გაშუქებული ზღვა, უნახავს ვებერთელა გემი, მეტად გართულან ბულვარში თამაშობით, რომლის აქეთ-იქით ჩამწყვრივებულია ცხელი ქვეყნების უზარმაზარი ხეები.

ყველაზე ძალიან ბავშვებს მოსწონებიათ ნავთსადგური, შუქურა და საბჭოთა მეურნეობა, რომლიდანაც საჩუქრად წამოუღიათ მანდარინი.

ჩვენს ოქტომბრელებს მეტად კარგად დახვედრიან წითელ-არმიელები და მეზღვაურები. ოქტომბრელების წარმომადგენელ გოგას სიტყვაც უთქვამს ოქტომბრის საზეიმო სხდომაზე.

წიგნი კარგი ენით არის დაწერილი, თუმცა ბევრი კორექტურული შეცდომა შეპარულა.

სურათები მეტად კარგად არის მხატვარ ტიმოფეევის მიერ დახატული. ფერები, სივრცე, საგნები ბავშვებისათვის ადვილად გასაგები და მისაწვდომია.

მეორე წიგნია, ტომპსონ-სეტონის (ინგლისელი მწერალი, რომელსაც ცხოველებზე წერა უყვარდა) „ზოლიანა“, რომელიც თარგმნა მ. ხუნდაძემ.

აბა წაიკითხეთ „ზოლიანა“ — ეს სახელი ჰქვია მელიას, რადგანაც ზურგზე თეთრი ზოლი ჰქონდა. რას გაიგებთ აქედან? იმას, თუ როგორი მზრუნველი და მოსიყვარულე დედაა მელია.

ამის შესახებ გვიამბობს ერთი მონადირე (მონადირედ თვითონ მწერალი უნდა ვიგულისხმობთ), რომელმაც გულმოდგინედ

შეისწავლა მეღიების ადათები, ერთმანეთთან დამოკიდებულება, ერთმანეთისათვის თავგანწირვა, ერთანეთზე ზრუნვა: გახა საინტერესო არ არის?

აბა წაიკითხეთ ის ადგილი, სადაც პატარა მეღიები ქათმის წიწვა-გლეჯაში იყვნენ, როგორ ეთამაშებოდნენ ერთმანეთს და არ შეიძლება არ გაგეცინოსთ. ან კიდევ ის ადგილი, როცა მეღიამ თვალი შეასწრო ცნობისმოყვარე თრითინას ხეზე და თავი მოიძინარა, გაწვა მიწაზე და უცდიდა თრითინას! როგორ მოტყუდა თრითინა! ჩამოსვლა ვერ მოასწრო, რომ გელია სწრაფად ეცა და ჩაასო კბილები. მელაკულებიც, რომელიც შორიახლო იდგენ და სეირს უყურებდნენ, ჟივილ-ხივილით მისცვივდნენ დედას, და გაიმართა მხიარული საუზმე.

ერთი სიტყვით, ჩვენი მკითხველი ბავშვები იცინებენ კიდევაც და ბევრ საინტერესო ამბავსაც გაიგებენ მეღიის ეშმაკობაზე, როცა წაიკითხავენ „ზოლიახას“. სურათები ეკუთვნის მხატვართ ჩუდეცკის.

ანლანი



ჭრიჭინა და ლოკოკინა

(ხუმრობა)

ჭრიჭინას ძალიან უყვარდა, ხტომა, ჯდახტოდა და დახტოდა, ერთხელ ისე ძალდა შეხტა, რომ ფეხი იღრძო. რა ქნას — შინ დაბრუნება უნდა, მაგრამ არ შეუძლია, ფეხი საშინლად სტკივა.

დგას დაღონებული, ცრემლები ერევა. ხედავს მობობლავს ლოკოკინა.

— დობილო, ჩემ სახლამდის მიმიყვანე, შენი ჭირიმე! — შეეხვეწა ლოკოკინას.

— სკრიპკას თუ დაუკრავ, მიგიყვან. მე ძალიან მიყვარს მუსიკა.

აბობლდა ჭრიჭინა ლოკოკინას სახლის თავზე, მოეწყო იქ და მარში დაუკრა სკრიპკაზე.





გახალისდა ლოკოკინა და მო-
უსვა რაც ძალი და ღონე ქქონ-
და. საერთოდ ლოკოკინას წარ-
უყვარს ჩქარი სიარული, მოფე-
რებიც სძულს, ავტომობილებს
რომ დააქროლებენ, აქ კი ვერ
მოითმინა და გაქანდა.

ორი დღე მიქროდა ლო-
კოკინა, ორ დღეს იყო კრიჭი-
ნა მის სახლზე წამოსკუბული,
და ბოლოს მივიდნენ კრიჭინას
სახლში. მერე, იცით, რა შორს
იყო ეს სახლი! ხუთი მეტრის
მანძილზე მაინც იყო.



ოცდახუთი ფოტოგრაფია

საბავშვო ჟურნალის რედაქციაში ერთ დღეს ფოტოგრაფმა
ოცდახუთი ფოტოგრაფია მოიტანა.

— ამხანაგო, თქვენი ფოტოგრაფები სულ შავებია, რატომ?
— ჰკითხეს რედაქციაში ფოტოგრაფს.

— იმიტომ, რომ მე ხალხი კი არ გადამიღია, მათ ჩრდი-
ლებს ვიღებდი.

— როდის გადაიღეთ?

— გუშინ.

— ყველანი გუშინ გადაიღეთ?

— ყველა.

— სად?

— ქუჩაში.

— ვინ არის ეს ხალხი თქვენ რომ გადაგიღიათ?

დამავიწყდა.

დაუკვირდით ფოტოგრაფიას და მოგვწერეთ:

1. მართლა ყველა ამ დამიანების აჩრდილი გადაიღო ფოტო-
გრაფმა?

2. მართლა ერთ დღეს გადაიღო?

3. მართლა ქუჩაში გადაიღო ყველა სურათი?

ვინ არის ეს ხალხი, ფოტოგრაფს რომ გადაუღია?



ქართული
საქმიანობა

5. რა ნივთები აქვთ ამ ადამიანებს?
6. რომელ მათგანს აქვს ყველაზე მეტი ნივთი?



ვინც სწორად გამოიცნობს, მათ სახელსა და გვარს ეურ-
ნალში დაებეჭდავთ.



საქართველოს პ. კ. მ. ხანსრავლი
ლერი გიურჯი და განათლების
სახალხო კომისარიატის უფალ-
თვიური შურნალი გავრცელების

„ოქტომბრელი“

შურნალ

„ოქტომბრელი“-ს

უფალ ნომერში იბეჭდება

სანიტერისო ლექსები,

მოთხრობები, ზღაპრები და

განსართობები.

უფალმა ოქტომბრელმა უნდა გაყოიფაროს და
წაიკითხოს შურნალი

„ოქტომბრელი“

შურნალ „ოქტომბრელი“-ს რედაქცია.